

2018 წლის 31 აგვისტოს
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სხდომის ჩატარების ადგილი: კაჭრეთის
ამბასადორი

სხდომის დაწყების დრო: 21:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე),
ციცინო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი,
ირაკლი ყანდაშვილი, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ნათია
კორკოტაძე.

სხდომის დღის წესრიგი

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება: ვლადიმერ მამულია, ნუგზარ კოჭლაშვილი, მარიკა
თოდუა, შალვა ფეხუაშვილი, დარეჯან გულაზიანი, ბექა დვალი, რუსლან ბერიძე, ავთანდილ
ლევსვერიძე, მარიამი ბულაშვილი.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: თამარ ძავაშვილი.

საკითხი 3. პირადი განცხადების საფუძველზე შერჩეული წევრობის აღდგენა: ცირა ჯგერენაია,
ანა მეძმარიაშვილი.

საკითხი 4. წევრობის შერჩევის შესახებ განცხადებების გაცნობა: თინათინ სუდაძე, თეონა
ქარელი; გიორგი სანტურიანი; 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ლია
მიქელაშვილი.

საკითხი 5. 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა: ქეთევან მიქელაძე, ნანა რევაზიშვილი; 2013 წლის საწევრო გადასახადის დავალიანების გადავადება: ნინო ბეგლარაშვილი.

საკითხი 6. შპს “სამართლის სკოლის” განცხადების განხილვა სამ ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების შესახებ: პირველი ტრენინგ მოდული: სამკვიდრო მოწმობის მიღება; მეორე ტრენინგ მოდული: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის წესი და პროცედურები; მესამე ტრენინგ მოდული: ევროკავშირის სამართალი და ჰარმონიზაციის პრობლემები.

საკითხი 7. გიორგი ტურაზაშვილის განაცხადი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მინიჭებისათვის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

საკითხი 8. სხვადასხვა

ა) ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი მდინარაძის განცხადება კომიტეტის თანა-თავმჯდომარედ გადასვლის და თავმჯდომარის პოზიციაზე ონისე მარგიანის ნომინირების შესახებ;

ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების მსურველი კანდიდატის - ქეთევან ბახტაძის განცხადება;

გ) ადვოკატთა ასოციაციის წევრის - ჟუჟუნა ლორთქიფანიძის განცხადება ადვოკატის სიითი ნომრის ცვლილების თაობაზე;

დ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 ივლისი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

ე) ქართული ადვოკატურის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა.

საკითხი 1:

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: ვლადიმერ მამულია, ნუგზარ

კოჭლაშვილი, მარიკა თოდუა, შალვა ფეხუაშვილი, დარეჯან გულაზიანი, ბექა დვალი, რუსლან ბერიძე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვლადიმერ მამულიას, ნუგზარ კოჭლაშვილის, მარიკა თოდუას, შალვა ფეხუაშვილის, დარეჯან გულაზიანის, ბექა დვალის, რუსლან ბერიძის განცხადებები გაწევრიანების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) ავთანდილ ლეფსვერიძის მიერ დამატებით წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას. ავთანდილ ლეფსვერიძემ განცხადებით გაწევრიანების შესახებ ადვოკატთა ასოციაციას მომართა 2018 წლის 16 ივლისს. აღმასრულებელმა საბჭომ განიხილა განცხადება თანდართული დოკუმენტებით და 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით ავთანდილ ლეფსვერიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დაევლა დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კონკრეტულად გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების და სამუშაოს აღწერილობის მითითებით.

წევრები გაეცნენ ავთანდილ ლეფსვერიძის მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტს და ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ავთანდილ ლეფსვერიძის განცხადება გაწევრიანების შესახებ.

ბ) მარიამ ბულაშვილის მიერ დამატებით წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას. მარიამ ბულაშვილმა განცხადებით გაწევრიანების შესახებ ადვოკატთა ასოციაციას მომართა 2018 წლის 6 ივლისს. აღმასრულებელმა საბჭომ განიხილა განცხადება თანდართული დოკუმენტებით, სადაც მას წარმოდგენილი ჰქონდა „თი ბი სი“ ბანკში საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის დამადასტურებელი ცნობა. 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით მარიამ ბულაშვილს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დაევლა დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კონკრეტულად გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების და სამუშაო აღწერილობის მითითებით.

31 აგვისტოს საბჭოს სხდომისთვის მარიამ ბულაშვილმა დამატებით წარმოადგინა შპს „ლიგალ კომპანიში“ იურისტის პოზიციაზე მუშაობის დამადასტურებელი ცნობა. წევრები გაეცნენ მარიამ ბულაშვილის მიერ დამატებით წარდგენილ დოკუმენტს და ღია კენჭისყრის შედეგად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ ბულაშვილის განცხადება გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი თამარ ძავაშვილის განცხადებას. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თამარ ძავაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: ადვოკატთა შესახებ კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ ძავაშვილის ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება.

საკითხი 3:

საბჭოს წევრები გაეცნენ პირადი განცხადების საფუძველზე შეჩერებული წევრობის აღდგენის მსურველთა ცირა ჯგერენაიას და ანა მემძარიაშვილის განცხადებებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ცირა ჯგერენაიას და ანა მემძარიაშვილს აღუდგეთ წევრის სტატუსი. ასევე, წევრებმა განმარტეს, რომ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ადვოკატს, რომელსაც პირადი განცხადების საფუძველზე შეჩერებული აქვს ასოციაციის წევრის სტატუსი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების გარეშე შეუძლია მოითხოვოს წევრობის აღდგენა, შესაბამისი განცხადების ასოციაციის აპარატში შეტანის გზით.

საკითხი 4:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: თინათინ სულაძე, თეონა ქარელი; გიორგი სანტურიანი; 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ღია მიქელაშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: თინათინ სუდამე, თეონა ქარელი; გიორგი სანტურიანი; ამასთან, 2017- 2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირს ღია მიქელაშვილს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება წევრობა.

საკითხი 5:

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები 2017-2018

წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ: ქეთევან მიქელაძე, ნანა რევაზიშვილი 2013 წლის საწევრო გადასახადის დავალიანების გადავადება: ნინო ბეგლარაშვილი.

ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად 9 - მომხრე 2 - წინააღმდეგი (წინააღმდეგი: მამუკა ნოზაძე; მარიამ კუბლაშვილი) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები ქეთევან მიქელაძეს, ნანა რევაზიშვილისა და ნინო ბეგლარიშვილის განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 6:

სასწავლო ცენტრის დირექტორმა ქეთევან თურაზაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა შპს „სამართლის სკოლის“ განცხადება სამ ტრენინგ მოდულზე აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე. ტრენინგ მოდულები შეეხება: სამკვიდრო მოწმობის მიღებას; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის წესსა და პროცედურებს და ევროკავშირის სამართალს და ჰარმონიზაციის პრობლემებს. ქეთევან თურაზაშვილს საბჭოს გააცნო ტრენინგები - მარიამ გოგოლაძე, ვლადიმერ მაჭარაშვილი, ბექა ხიტირი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს „სამართლის სკოლის“ განცხადება და აკრედიტაცია მიენიჭოს ზემოაღნიშნულ მოდულებზე.

საკითხი 7:

საბჭომ განიხილა გიორგი ტურაზაშვილის განაცხადი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მინიჭებისათვის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ, რაც გულისხმობს სამოტივაციო განაცხადების კოდირებას და სამოტივაციო წერილის, როგორც შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრას.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დღეს დამკვიდრებულ შეფასების კრიტერიუმებზე და სამოტივაციო წერილების შესაძლო არაკეთილსინდისიერ გამოყენებაზე.

გიორგი ტურაზაშვილი მიიჩნევს, რომ სამოტივაციო ნაწილი შეფასების მნიშვნელოვანი

კომპონენტი უნდა იყოს, რადგან პროფესიული ვალდებულება ძალიან სენსიტიურია ამ საკითხში.

თავმჯდომარის აზრით სამოტივაციო წერილი მნიშვნელოვანია, თუმცა გარკვეულად ფორმარულ მხარედაც აღიქმება და ამიტომ არ უნდა შევავერხოთ კანდიდატი დაწეროს კაზუსი. ადვოკატი შესაძლოა ვრცელ მოტივაციას არ აკეთებდეს, მაგრამ შესანიშნავად წერდეს კაზუსს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მამუკა ნოზაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ იმ პირებს ვისაც სურთ, რომ არასრულწლოვნების საქმეებზე გამოვიდნენ უნდა ქონდეთ შესაბამისი მოტივაციის დაწერის უნარ-ჩვევები. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ განაცხადის შემოტანა და სურვილის დაფიქსირება, რომ სურთ არასრულწლოვანთა საქმეებზე მოიპოვონ ლიცენზია არ არის საკმარისი. არასრულწლოვანებთან ურთიერთობა არის მგძნობიარე და ბუნებრივია ცოდნასთან ერთად მოითხოვს განსაკუთრებული კომუნიკაციის უნარს, შესაბამისად პირს რომელსაც ექნება პრეტენზია, რომ გამოვიდეს არასრულწლოვნების საქმეებზე უნდა შეძლოს მოკლედ მაინც მოტივაციის დაწერა ლიცენზიის მოპოვებასთან მიმართებაში, რომ ახსნას რატომ სურს არასრულწლოვნების საქმეებზე მუშაობა. მამუკა ნოზაძემ აღნიშნა ის ფაქტი, რომ იმ პირებმა ვინც მოიპოვეს ლიცენზია გაიარეს შესაბამისი პროცედურები, მათ შორის მოტივაციის დაწერასთან მიმართებაში და ეს სტანდარტი არ უნდა დაიწიოს. მხოლოდ სახელის და გვარის მითითება მოტივაციაში საკმარისი არ არის.

ტარიელ კაკაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მოტივაცია აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თუმცა ეს არ უნდა იყოს გადამწყვეტი. ტარიელ კაკაბაძე ასევე მიიჩნევს, რომ დაუშვებელია ადვოკატმა ზედმიწევნით გაიმეოროს სხვა ადვოკატის მიერ დაწერილი სამოტივაციო წერილი, ვინაიდან თუ ადვოკატს აქვს პრეტენზია იყოს პროფესიონალი, მას უნდა შეეძლოს მოტივაციის წერაც.

გიორგი ტურაზაშვილმა საბჭოს შესთავაზა მოტივაციის შეფასების მარტივი მიდგომა - დადებითი და უარყოფითი ქულათა სისტემის გარეშე, რომელიც დასაბუთებული იქნება შემფასებელი ექსპერტის მიერ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მინიჭებისათვის შეფასების კრიტერიუმები დამტკიცდეს შემდეგი სახით: მოხდეს ნაშრომების კოდირება; ადვოკატის მოტივაცია შეფასდეს დადებითად ან უარყოფითად (ორივე შეფასების შემთხვევაში აუცილებელია არგუმენტირებული დასაბუთება შემფასებელი ექსპერტის მიერ; ადვოკატის სამოტივაციო წერილს მიეცეს უარყოფითი შეფასება და მას არ მიეცეს კაზუსის ეტაპის გავლის უფლება იმ შემთხვევაში, თუკი სამოტივაციო წერილში იკვეთება მისი მიდგომების აშკარა

შეუსაბამობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიერ დადგენილ სტანდარტებთან); მოტივაციის დადებითად შეფასების შემთხვევაში, ადვოკატს შესაძლებლობა უნდა მიეცეს დაწეროს კაზუსი, რომელიც შეფასდება შესაბამისი ქულების სისტემით.

საკითხი 8. სხვადასხვა

ა) ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი მდინარაძის განცხადება კომიტეტის თანა-თავმჯდომარედ გადასვლის და თავმჯდომარის პოზიციაზე ონისე მარგიანის ნომინირების შესახებ;

საბჭოს წევრები გაეცნენ ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი მდინარაძის განცხადებას კომიტეტის თავმჯდომარეობიდან თანა-თავმჯდომარედ გადანაცვლების და მისი პოზიციაზე ონისე მარგიანის ნომინირების შესახებ. საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ონისე მარგიანი მზადაა შეასრულოს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობები. ასევე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ინიციატივა, ადვოკატის უფლებათა დაცვაში შეტანილი წვლილისათვის გიორგი მდინარაძეს და ონისე მარგიანს გადაეცეთ სიმბოლური ჯილდოები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება**:

1. დაკმაყოფილდეს გიორგი მდინარაძის განცხადება ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანა-თავმჯდომარედ გადანაცვლების შესახებ და ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცდეს ონისე მარგიანი;
2. გიორგი მდინარაძესა და ონისე მარგიანს გადაეცეთ სიმბოლური ჯილდოები ადვოკატთა უფლებათა დაცვაში სფეროში თავდადებული შრომისათვის.

ბ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების მსურველი კანდიდატის - ქეთევან ბახტაძის განცხადება;

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე ცალკეული წევრების ცვლილებებისა და დამატებების ნაცვლად, უმჯობესია გამოცხადდეს განაცხადებების მიღება კომიტეტების შემადგენლობების განახლებისთვის, ვინაიდან კომიტეტის წევრები არჩეულნი არიან კონკრეტული ვადით, რომელიც იწურება და ამასთანავე, ზოგიერთი წევრი ვერ ახერხებს კომიტეტების საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას და მიზანშეწონილია სხვა ადვოკატებმაც შეძლონ ჩაერთონ კომიტეტების მუშაობაში.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: კომიტეტების შემადგენლობების ახალი წევრებით განახლებამდე, გადაიდოს ინდივიდუალურ განაცხადების განხილვა.

გ) ადვოკატთა ასოციაციის წევრის - ჟუჟუნა ლორთქიფანიძის განცხადება ადვოკატის სიითი ნომრის ცვლილების თაობაზე;

საბჭოს წევრებმა განიხილეს ადვოკატთა ასოციაციის წევრის - ჟუჟუნა ლორთქიფანიძის განცხადება ადვოკატის სიითი ნომრის ცვლილების თაობაზე, რომლითაც იგი მოითხოვდა ოთხ ციფრიანი სიითი ნომრის შემდეგ დამატებულ „/1“-ის მოშლას, რომელიც შეწყვეტილი წევრობის შემდეგ, წევრობის აღდგენისას ენიჭებათ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს.

საბჭოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მსგავს საკითხზე განცხადების დაკმაყოფილების პრაქტიკა არსებობს, ვინაიდან „/1“ -ის არარსებობის შემთხვევაშიც სიითი ნომრის დუბლირება არ ხდება და ადვოკატის იდენტიფიცირება მხოლოდ ოთხ ციფრიანი სიითი ნომრითაც იქნება შესაძლებელი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ასოციაციის წევრის - ჟუჟუნა ლორთქიფანიძის განცხადება ადვოკატის სიითი ნომრის ცვლილების თაობაზე და მის ოთხციფრიან სიით ნომერს ჩამოცილდეს დამატება - „/1“ .

დ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 ივლისი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული საქმე N3/3398-18) რომლის თანახმად დაკმაყოფილდა ციალა მელაძის სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის 2016 წლის 9, 10, 11, 12 და 13 დეკემბერს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 26 მარტის #1 ოქმი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ციალა მელაძის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #1804 ტესტში ქულის მომატების შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით ასოციაციას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ციალა მელაძისთვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #1804 ტესტში 1 ქულის მომატების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრმა მამუკა ნოზაძემ განაცხადა, რომ იგი არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ ასოციაციის მაღალი

პრესტიჟის და იმიჯის შენარჩუნებისთვის აუცილებელია მსგავსი შემთხვევების დროს გადაწყვეტილებები გასაჩივრდეს იგი თვლის, რომ სასამართლოს მიერ ასოციაციისთვის დავალებული ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, აპრიორად არ ნიშნავს იმას, რომ ასოციაციამ ავტომატურად გამოსცეს აქტი, რომლის თანახმად მოემატება ქულა ციალა მელაძეს. ასოციაციის ექსპერტთა საბჭომ კიდევ ერთხელ უნდა იმსჯელოს გასაჩივრებულ ტესტზე და ექსპერტების მიერ დასაბუთებული მოტივაცია უნდა იქნას წარდგენილი, რომლის მიხედვით უნდა მომზადდეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლოს არ აქვს უფლება სამართლებრივ საკითხთან, კერძოდ ტესტთან მიმართებაში მიუთითოს ასოციაციას, რომ ვთქვათ ტესტი არ არის სწორად შედგენილი, რაც ნათლად არც სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან იკვეთება. მან ასევე, აღნიშნა რომ მხოლოდ ასოციაციის დისკრეციული უფლებამოსილებაა საგამოცდო ტესტის ირგვლივ და მის ავკარგიანობაზე მსჯელობა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ტესტი არასწორად არის შედგენილი აღნიშნულის თობაზე უნდა იმსჯელოს ექსპერტთა ჯგუფმა, სხვაგვარად თუ ასოციაცია სასამართლო გადაწყვეტილებას უპირობო გარემოებად აღიქვამს, რომ მოვუმატოთ ქულა გამოსაცდელს, ასეთ შემთხვევაში აზრს დაკარგავს ექსპერტთა ჯგუფის არსებობა ასოციაციაში და თავად საგამოცდო კომისიაც. მოსამართლის კომპეტენცია არ არის ქულის მომატება, არამედ აღნიშნული ქმედებით იკვეთება ასოციაციის კომპეტენციაში ჩარევის მცდელობა, რაც სახიფათო ტენდენციაა. მამუკა ნოზაზემ აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის პრესტიჟის საკითხია, რომ არ ვიმოქმედოთ ვინმეს სურვილით, არამედ დავიცვათ კანონი და გამოვცეთ დასაბუთებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

შესაბამისად, იგი არ უჭერს მხარს სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას რის საფუძველზეც ციალა მელაძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულათა რაოდენობას სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოემატოს ერთი ქულა.

ციალა მელაძისათვის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #1804 ტესტში ერთი ქულის მომატების თაობაზე საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად (9 მომხრე, 1 წინააღმდეგი - მამუკა ნოზაძე) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ციალა მელაძეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის #1804 ტესტში ერთი ქულის მომატება მიღებულ იქნას ცნობად და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ციალა მელაძის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებულ ქულას მოემატოს ერთი ქულა.

ე) ქართული ადვოკატურის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა;

თავმჯდომარე დავით ასათიანმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს

ეროვნულ არქივში დაცულია, 1919 წლით დათარიღებული, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის პერიოდში მოქმედი ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა საბჭო და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ნაფიც ვეჟილთა (ადვოკატთა) ინსტიტუტი, რაც დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურის ისტორიის ათვლის წერტილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, 2019 წელი ქართულ ადვოკატურის საუკუნოვანი იუბილის წელია. ამასთან დაკავშირებით ადვოკატთა ასოციაცია გეგმავს სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზებასა და საერთაშორისო სტუმრების მოწვევას. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით, შეიქმნას საიუბილეო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც უხელმძღვანელებს აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი. საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: სალომე ტყეშელაშვილი (ადმინისტრაციის უფროსი); ქეთევან თურაზაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი); თორნიკე რაზმაძე (საზოგადოებრივი ურთიერთობების მენეჯერი); თამარ ხოხობაშვილი (კომიტეტების კოორდინატორი); ქეთევან ანდლულაძე (საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე); ანა ჯალაღონია (კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტის თავმჯდომარე); თორნიკე ბაქრაძე (ეთიკის კომისია); მარიამ კუბლაშვილი (აღმასრულებელი საბჭო).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: შეიქმნას ქართული ადვოკატურის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებათა საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: გიორგი ჭეხანი (აღმასრულებელი მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე); სალომე ტყეშელაშვილი (ადმინისტრაციის უფროსი); ქეთევან თურაზაშვილი (სასწავლო ცენტრის დირექტორი); თორნიკე რაზმაძე (საზოგადოებრივი ურთიერთობების მენეჯერი); თამარ ხოხობაშვილი (კომიტეტების კოორდინატორი); ქეთევან ანდლულაძე (საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე); ანა ჯალაღონია (კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტის თავმჯდომარე); თორნიკე ბაქრაძე (ეთიკის კომისია); მარიამ კუბლაშვილი (აღმასრულებელი საბჭო).

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის თავმჯდომარე**